

სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დასახელება:

თსუ პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

საიდენტიფიკაციო კოდი:

მისამართი (ქვეყანა, ქალაქი, ქუჩა, საფოსტო ინდექსი):

საქართველო, თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 31, 0186

ინსტიტუტის ხელმძღვანელის/დირექტორის სახელი, გვარი:

ქეთევან ებრალიძე

ტელეფონი: +995 599 157 057

ვებ გვერდი: <http://ipoc.tsu.ge/public/>

ელ. ფოსტა: ketevan.ebralidze@tsu.ge

ორგანიზაციის მისიისა და მიზნების მოკლე აღწერილობა (რეკომენდებული სიტყვების რაოდენობა 300 სიტყვა): ინსტიტუტი დაარსდა 1929 წლის 1 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველმა რექტორის, პეტრე მელიქიშვილის ინიციატივით და მის სახელს ატარებს. ინსტიტუტის მისიას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის ქიმიური მეცნიერების მობილიზაცია, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობების კვლევა-ძიება, ახალი მასალების მიღების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებსა და გარემოს დაცვის საქმეში მათი გამოყენების შესაძლებლობების დადგენა. ამ მიზნების მისაღწევად ინსტიტუტში მიმდინარეობს კვლევები ფიზიკური და ორგანული ქიმიის, აგრეთვე მაკრომოლეკულური ნაერთების ქიმიის, გარემოს ქიმიის, ნავთობის ქიმიისა და აგროქიმიის დარგებში.

გამოკვლევები მოიცავს ისეთი ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შესწავლას, როგორცაა რთული ნარევის პრომატოგრაფიული დაყოფა, მიკროფორვან კრისტალურ სხეულებში ადსორბცია, დიფუზია და კატალიზი, ალუმინსილიკატურ და სხვა სახის გელებში ფაზური გარდაქმნები და კრისტალიზაცია, პოლიმერიზაცია. მიღებული შედეგების საფუძველზე მუშავდება ახალი მასალების (ადსორბენტები, იონმიომცვლელები, კატალიზატორები, ულტრადისპერსული კრისტალური ფხვნილები, საშენ მასალათა დანამატები და სარესტავრაციო მასალები, ორგანომინერალური სასუქები, ეკოლოგიურად უსაფრთხო პროლონგირებული მოქმედების სუბსტრატები, პოლიმერული კომპოზიტები, ნაწი დაწვარებით პლასტიკური მასალები და სხვ.) მიღების ტექნოლოგიები და მათი რაციონალური გამოყენების გზები სოფლის მეურნეობაში, გარემოს დაცვის საქმეში, მშენებლობასა და ნანოტექნოლოგიებში.

სოფლის მეურნეობისათვის აგრეთვე გათვალისწინებულია ახალი ტიპის პროლონგირებული ქმედების კომპოზიციური და პოლიმერული სასუქები, მიკროელემენტების შემცველი სასუქები, პრემიქსები და ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, რკინისა და სილიციუმის შემცველი სამკურნალო-პროფილაქტიკური ვეტერინარული საშუალებები; გადაამამუშავებელი მრეწველობისათვის – ნარჩენების მცენარეული მატრიცებიდან ზეთების, ეთერზეთების, პიგმენტებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების სუპერკრიტიკული ფლუიდებით და ულტრაბერით საფეხურებრივი ექსტრაქციების მეთოდების შემუშავება.

ნავთობის ქიმიის მიმართულებით მიმდინარეობს საქართველოს ენერგეტიკული დანიშნულების წიაღისეულის (ნავთობი და ბუნებრივი ბიტუმები) შესწავლა, პასპორტიზაცია და რაჩეირება ადგილობრივ მრეწველობაში გამოყენების თვალსაზრისით, ზოგიერთი სასაქონლო ნავთობპროდუქტის მიღების ტექნოლოგიების შემუშავება და ბიოდიზელის მიღების ტექნოლოგიების გაუმჯობესება.

მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა (სულ): 79

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 17

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 23

მეცნიერ თანამშრომელი - 39

სტრუქტურული ერთეულების (დეპარტამენტი, განყოფილება, ლაბორატორია) ჩამონათვალი

- 1 ფიზიკურ-ქიმიური პროცესების კვლევის ლაბორატორია
- 2 ქიმიური ეკოლოგიის ლაბორატორია
- 3 ორგანულ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია
მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია
ნავთობის ქიმიის ლაბორატორია
აგრარული ქიმიის ლაბორატორია
საორგანიზაციო და საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება